ხელშეკრულება N 241

ქ.ქუთაისი 11 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ანა ცუცქირიძის სახით და მეორე მხრივ **შპს „ორგსერვისი“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ხვიჩა ნემსაძის სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერები წესისი დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

(CPV კოდი: 44812000 - სამხატვრო საღებავები, 37821000 - სამხატვრო ფუნჯები, 37822100 - (სახატავი) ფანქრები, 30192700 - საკანცელარიო ნივთები) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **451,50 (ოთხასორმოცდათერთმეტი და 50)** ლარს. **დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3,1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3,2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4,1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4,2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის N 339 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, რუსუდან ხაბულიანი)

4,3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5,1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ნიკეას N12.

5,2საქონლის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6,1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6,2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7,1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
7,2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8,1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8,2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8,3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.
8,4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8,7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის:ქ.ქუთაისი ნიკეას N12
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE 24 NB 0330 1002 0016 5022

ირაკლი ავალიანი

მიმწოდებელი:
შპს „ორგსერვისი“
მის: ქ.ქუთაისი ი. ჭავჭავაძის N51/2ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 693 851
„პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGEGE22
ა/ნ: GE 28 PC 0133 6001 0006 7722

ხვიჩა ნემსაძე

დანართი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ	CPV
1	საღებავი გუაში Nevskaia Palitra 12ფ. 40მლ. MASTER KLACC	ცალი	2	39	78	44812000
2	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Permament Orange 330	ცალი	1	5.3	5.3	44812000
3	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Raw Umber 688	ცალი	1	5.3	5.3	44812000
4	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Permanent Red 332	ცალი	1	5.3	5.3	44812000
5	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Purple Pale 434	ცალი	1	5.3	5.3	44812000
6	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Sap Green 568	ცალი	1	5.3	5.3	44812000
7	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Green Middle 505	ცალი	1	5.3	5.3	44812000
8	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Cerulean Blue 455	ცალი	1	5.3	5.3	44812000
9	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Sky Blue 447	ცალი	1	5.3	5.3	44812000
10	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Lemon Yellow 215	ცალი	1	5.3	5.3	44812000
11	საღებავი აკრილის koh-i-noor 500მლ. White 0100 0162710051LP	ცალი	1	34.8	34.8	44812000
12	ჭიქა წყლისათვის LUCH 0,25მლ. 10C 607-08	ცალი	5	1.2	6	30192700
13	პალიტრა ხის C-Kreul SOLO GOYA ოვალი 25*30სმ. 41801	ცალი	2	14.5	29	30192700
14	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4980-6	ცალი	3	13.3	39.9	37821000
15	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4910-3/4	ცალი	3	16.1	48.3	37821000
16	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4910-1	ცალი	2	20	40	37821000
17	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4955-10	ცალი	2	7.1	14.2	37821000
18	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4920-6	ცალი	2	5.7	11.4	37821000
19	ფუნჯი Dynasty Silver სინთეთიკა, 4920-16	ცალი	2	7.7	15.4	37821000
20	საღებავი გუაში Nevskaia Palitra 12ფ. 40მლ. CONET	ცალი	2	29	58	44812000
21	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Gold 132	ცალი	1	7.5	7.5	44812000

22	საღებავი აკრილის MARIES 120ml. Silver 121	ცალი	1	7.5	7.5	44812000
23	ლაინერი Staedtler pigment liner 1.2მმ. Black 308 12-9	ცალი	1	5.9	5.9	37822100
24	ფანქარი აკვარელის KOH-I-NOOR fish 3716 12ფ 3716012004KS	ცალი	1	7	7	37822100
25	სათლელი KITE K17-1017	ცალი	1	0.9	0.9	30192700
					451.5	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „ორგსერვისის“ შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორის მოადგილე: /ა.ცუცქირიძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/